

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №14

2018 წლის 20 ივლისი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა:

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი, 01/06/2017, სარეგისტრაციო კოდი: 300380000.16.009.016209) მე-2 მუხლის პირველ პუნქტს „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“:

ა) 2018 წლის 1 აგვისტოდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 9.04%;

ბ) 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 6.64%;

გ) 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 4.57%;

დ) 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 3.56%;

ე) 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 2.81%“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან.

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

გოჩა შონია

მაია მელიქიძე

ირინა მილორავა

